

მრავალწლიანი კულტურების მდგრადი მართვა მდელის ყავისფერი ნიადაგების  
გეოგრაფიული გავრცელების არეალში სუპერინტენსიური ნუშის  
( prunus amygdalus avixor) მაგალითზე

ბაჩანა კვირიკაშვილი

ელ-ფოსტა:bachana.kvirikashvili490@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179,საქართველო

მრავალწლიანი კულტურების მდგრადი მართვა სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონებში სასიცოცხლო როლს თამაშობს გარემოს დაცვისა და გრძელვადიანი სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის უზრუნველსაყოფად.

თანამედროვე მსოფლიო დიდი გამოწვევების წინაშე დგას კლიმატის ცვლილების კუთხით, რასაც შეიძლება ჰქონდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გავლენა მდგრად სოფლის მეურნეობაზე. ასევე, არსებული რისკები, როგორებიცაა, გლობალური დათბობა, სათბური აირების ემისია, ჰაერის დაბინძურება ნათლად აჩვენებს მდგრადი პრაქტიკების მნიშვნელობას სოფლის მეურნეობაში. აგრეთვე, კლიმატის ცვლილებამ შეიძლება შეცვალოს რეგიონების ვარგისიანობა კონკრეტული კულტურების მოსაყვანად, რაც მოითხოვს შესაბამისი სტრატეგიებისა და პრაქტიკების ეფექტურ დანერგვას, რათა წარმატებით ვუპასუხოთ არსებულ გამოწვევებს. ამ საკითხში შეიძლება განვიხილოთ კლიმატისადმი მდგრადი მრავალწლიანი ჯიშების მოყვანა, წყლის რესურსების მართვის გაუმჯობესება, მავნე ორგანიზმების ინტეგრირებულ მართვა და ა.შ

ჩვენი კვლევა ფოკუსირებულია მდგრადი მართვის პრაქტიკის შესწავლაზე, რომელიც გამოიყენება მცხეთის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ ძველი ქანდაში მდელის ყავისფერი ნიადაგებზე გაშენებულ სუპერინტენსიურ ნუშზე. ეკოლოგიური, ეკონომიური და სოციალური განზომილებების შესწავლით ეს კვლევა მიზნად ისახავს შეაფასოს ასეთი პრაქტიკის სიცოცხლისუნარიანობა და ეფექტურობა რეგიონის მდგრადი განვითარებისათვის.